

შპს ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	9

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	12
5. ძირითადი საშუალებები.....	16
6. იჯარები	16
7. მარაგები	17
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	18
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	18
11. შემოსავალი	18
12. სხვა შემოსავალი	19
13. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	19
14. წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	19
15. პირობითი ვალდებულებები.....	19
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20
18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	21

მმართველობის ანგარიშგება	28
--	--------------------

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯიას“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებლებს

აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯიას“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯიას“ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზოგიერთი ძირითადი საშუალებების ფიზიკურ არსებობასთან დაკავშირებით 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 5,008,165 და 5,547,392 ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა როგორც ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჩატარებია მარაგების ინვენტარიზაცია. კომპანიის მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულების მოპოვება ზემოთ მოცემულ თარიღში მარაგების რაოდენობრივ და ხარისხობრივ სისწორეზე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 2,333,248 და 1,707,515 ლარის ღირებულებებით, შესაბამისად. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა როგორც მარაგებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

კომპანიის მიერ განსაზღვრული ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები არ ითვალისწინებს კომპანიის აქტივებიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათს, რაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტიდან გადახვევაა. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განვსაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ძირითად საშუალებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებიდან გადახვევის შემთხვევები

კომპანიას აქვს არსებითი ოპერაციები საქართველოს საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების რეგულაციის მიხედვით განსაზღვრულ ქვეყნების რეზიდენტ დაკავშირებულ მხარეებთან. კომპანიას არ მოუზღუდია საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასება და ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული ანარიცხის შექმნა ან სათანადო ინფორმაციის წარდგენა ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ეს წარმოადგენს ბასს 37-დან - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და

პირობითი აქტივები“- გადახვევას, რომელიც მოითხოვს ანარიცხის შექმნას ყველა პოტენციური ვალდებულებისთვის, როდესაც მოსალოდნელია, რომ მის დასაფარად საჭირო იქნება კომპანიის ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა. ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასებიდან აღნიშნული გადახვევის ეფექტი არ არის განსაზღვრული.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში, მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას,

ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგება და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

3 აგვისტო, 2021

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	52,052,959	61,254,618
არამატერიალური აქტივები		7,681	13,768
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		1,192,329	1,170,347
აქტივის გამოყენების უფლება	6	410,124	-
		53,663,093	62,438,733
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	2,333,248	1,707,515
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	10,369,451	9,555,392
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	3,373,426	704,716
		16,076,125	11,967,623
სულ აქტივები		69,739,218	74,406,356
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		38,232,302	52,837,615
		38,232,502	52,837,815
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	6	188,969	-
		188,969	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	31,020,572	21,568,541
საიჯარო ვალდებულება	6	297,175	-
		31,317,747	21,568,541
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		69,739,218	74,406,356

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 3 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ რ. ვალჩივა

ბუღალტერი _____ მ. ხაჩიძე

შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	52,052,959	61,254,618
არამატერიალური აქტივები		7,681	13,768
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		1,192,329	1,170,347
აქტივის გამოყენების უფლება	6	410,124	-
		53,663,093	62,438,733
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	2,333,248	1,707,515
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	10,369,451	9,555,392
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	3,373,426	704,716
		16,076,125	11,967,623
სულ აქტივები		69,739,218	74,406,356
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		38,232,302	52,837,615
		38,232,502	52,837,815
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	6	188,969	-
		188,969	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	31,020,572	21,568,541
საიჯარო ვალდებულება	6	297,175	-
		31,317,747	21,568,541
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		69,739,218	74,406,356

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 3 აგვისტოს შემდეგი ბრძანებით:

დირექტორი

ბუღალტერი



მ. ხაჩიძე

რ. ვალჩივა

მ. ხაჩიძე

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	11	12,927,905	36,878,767
სხვა შემოსავალი	12	218,451	2,452,128
		13,146,356	39,330,895
მარაგების შესყიდვის ხარჯი		(914,919)	(929,915)
დაკაპიტალიზებული გამოყენებული მარაგები		202,416	99,319
მარაგების ცვლილება		625,733	447,189
პერსონალის ხარჯები		(6,614,528)	(1,603,965)
ცვეთა და ამორტიზაცია		(14,451,417)	(13,341,369)
სხვა საოპერაციო ხარჯები	13	(2,108,804)	(2,186,963)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(10,115,163)	21,815,191
ფინანსური შემოსავალი	9	122,424	19,073
ფინანსური ხარჯი		(45,119)	-
წმინდა ზარალი საკუთროსო სხვაობიდან	14	(4,567,455)	(1,736,499)
წლის მთლიანი სრული (ზარალი)/შემოსავალი		(14,605,313)	20,097,765

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2018	200	32,739,850	32,740,050
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	20,097,765	20,097,765
31 დეკემბერი 2019	200	52,837,615	52,837,815
წლის მთლიანი სრული ზარალი	-	(14,605,313)	(14,605,313)
31 დეკემბერი 2020	200	38,232,302	38,232,502

10–27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(14,605,313)	20,097,765
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		14,194,989	13,341,369
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა		256,428	-
ფინანსური ხარჯი		45,119	-
უიმედო და საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	8	354,622	47,229
გადასახადებთან დაკავშირებული ანარიცხები		-	261,531
ფინანსური შემოსავალი		(122,424)	(19,073)
მოგება ძირითადი საშუალების გასვლიდან		(86,851)	(2,287,246)
წმინდა ზარალი/(მოგება) საკუროს სხვაობიდან	14	4,567,455	1,736,499
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		4,604,025	33,178,074
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:			
მარაგების ზრდა		(828,149)	(546,508)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(2,103,021)	(4,169,459)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		8,444,766	2,622,888
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		10,117,621	31,084,995
გადახდილი პროცენტები		(45,119)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		10,072,502	31,084,995
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(7,209,524)	(38,320,748)
ძირითადი საშუალებების გასვლა		123,950	6,810,460
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(1,369)
გაცემული სესხის დაფარვა		-	90,000
მიღებული პროცენტები		122,424	21,999
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(6,963,150)	(31,399,658)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(323,076)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(323,076)	-
ფულადი სახსრების წმინდა (შემცირება)/ზრდა		2,786,276	(314,663)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	704,716	1,593,352
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა ფული და ფულის ეკვივალენტებზე	14	(117,566)	(573,973)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	3,373,426	704,716

10-27 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“ (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2007 წლის 10 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ინდუსტრიალიზაციის ქუჩა N 8ა. კომპანიის დირექტორია რადოსტინა პეტროვა ვალჩევა.

კომპანიის 100%-იანი წილის მფობელია შპს ევრო გეიმს ტექნოლოჯი (ბულგარეთი), რომელიც საქმიანობს ბულგარეთის კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სათამაშო აპარატების გაქირავება და თამაშების პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მომსახურების გაწევა.

2. მომზადების საფუძვლები

ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

კომპანია იყენებს ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისათვის. ეს სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაშია ყველა იმ სტანდარტთან, რომელიც ძალაშია ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი პერიოდებისთვის.

კომპანია არ იყენებს სხვადასხვა ვერსიას იმ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელიც წინა თ არილებისათვის იყო ძალაში და რომელთა დაკავშირებითაც შესული ცვლილებების სავალდებულო გამოყენება ძალაში შევიდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში. კომპანია არ იყენებს ახალ ფასს-ებს, რომელთა გამოყენება სავალდებულო არ არის, თუ სტანდარტით დაშვებულია მისი ვადამდელი დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

გ) საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19-ის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. პანდემიასთან გამკლავებაში მთავრობების მოქმედება და რეაგირება გავლენას ახდენს საზოგადოების, ზოგადად ეკონომიკის და შესაბამისად, ბიზნესის საქმიანობაზე. პანდემიას განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის პანდემიას მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის ოპერაციებზე, ფულადი სახსრების მოძრაობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა მიმდინარე მდგომარეობით სამთავრობო შეზღუდვების მოხსნის შემდეგ კომპანიამ სრულად აღადგინა საქმიანობა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიმოიხილა ბიზნეს გარემო და არ აქვს მოლოდინი, რომ კვლავ შეეზღუდება საქმიანობა. კომპანიას გააჩნია სოლიდური დადებითი კაპიტალი, ასევე აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან, რაც სრულად ფარავს ამავე პერიოდში საინვესტიციო საჭიროებებს. კომპანიის ფინანსური აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მის ფინანსურ ვალდებულებებს. შესაბამისად ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის უწყვეტობას საფრთხე არ ემუქრება. კომპანიის დამფუძნებელი იღებს პასუხისმგებლობას კომპანიის მომავალ ფუნქციონირებადობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია შენიშვნა 18-ში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7) და
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის პირველ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. კომპანიის ხელმძღვანელობას სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

კომპანიის მიერ ანარიცხის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარავად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა რისკებთან და რისკების მართვა მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტია. რისკი დამახასიათებელია კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა ხდება უწყვეტი პროცესის საფუძველზე, რომელიც გულისხმობს რისკის იდენტიფიცირებას, მის შეფასებას და ყოველდღიურ მონიტორინგს, მისი ზღვრის დადგენისა და კონტროლის მიზნით. კომპანიის ყველა წევრი ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რისკთან მიმართებაში.

კომპანიის ოპერაციებიდან გამომდინარეობს შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი;

სხვა ბიზნესების მსგავსად კომპანიაში არის რისკები რომელიც წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენებისას. ამ შენიშვნაში აღწერილია კომპანიის მიზნები, პოლიტიკა და პროცესები რისკების აღმოსაფხვრელად და მათი შეფასების მეთოდები. უფრო დაწვრილებით ინფორმაცია ამ რისკებთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ფულს და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,359,054	9,474,846
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,367,023	703,524
	13,726,077	10,178,370
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,094,505	20,473,917
საიჯარო ვალდებულებები	486,144	-
	29,580,649	20,473,917

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის მიზნების და პოლიტიკის შემუშავებაზე. ინარჩუნებს რა საბოლოო პასუხისმგებლობას ამ საკითხებზე, ხელმძღვანელობამ მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება იმ პროცესების შემუშავებასა და წარმართვაზე, რომელიც კომპანიის ფინანსური ფუნქციის მიზნების და პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

ხელმძღვანელობის მთავარი მიზანია პოლიტიკის დადგენა, რომელიც შეამცირებს რისკს მაქსიმალურად კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზეგავლენის გარეშე. დამატებითი დეტალები პოლიტიკასთან დაკავშირებით მითითებულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომელსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის

კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი ასევე განპირობებულია ფული და ფულის ეკვივალენტებით.

კომპანიის საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. მთლიანი ანარიცხების ძირითადი ნაწილი მოდის საერთო რეზერვებზე, რომელსაც კომპანია ქმნის ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,359,054	9,474,846
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,367,023	703,524
	13,726,077	10,178,370

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო. სავალუტო რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020 აშშ დოლარი	2020 ევრო	2019 აშშ დოლარი	2019 ევრო
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,192	2,212,815	1,192	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	48,785	-	3,367	-
	49,977	2,212,815	4,559	-
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	28,967,828	-	20,457,408
საიჯარო ვალდებულება	486,144	-	-	-
	-	28,967,828	-	20,457,408
ღია სავალუტო პოზიცია	(436,167)	(26,755,013)	4,559	(20,457,408)

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარისა და ევროს ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯენტის მიერ.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/(ზარალი)	(87,233)	87,233	(5,351,003)	5,351,003

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

	ლარი/დოლარი + 20%	ლარი/დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო - 20%
მოგება/(ზარალი)	912	(912)	(4,091,482)	4,091,482

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

წმინდა ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,359,054	9,474,846
ფული და ფულის ეკვივალენტები	3,367,023	703,524
	13,726,077	10,178,370
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,094,505	20,473,917
საიჯარო ვალდებულება	486,144	-
	29,580,649	20,473,917
(დეფიციტი)/პროფიციტი	(15,854,572)	(10,295,547)

ინფორმაცია კაპიტალის შესახებ

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი, რათა შეძლოს მომავალში მეწილეებზე დივიდენდების გაცემა და შესთავაზოს მეწილეებს ადეკვატური დივიდენდი სერვისების ღირებულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით. კომპანია ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად; მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით.

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	სათამაშო აპარატები	შენობები	ავეჯი და საოფისე ალჭურვილობა	მანქანები	დაუმთავრებ ელი წარმოება	სულ
31.12.2018	978,960	85,419,021	725,401	358,222	612,490	380,265	88,474,359
შემოსვლა	-	10,582,915	6,838	144,381	250,985	2,373,365	13,358,484
გასვლა	-	(5,554,649)	-	(1,341)	(145,254)	-	(5,701,244)
31.12.2019	978,960	90,447,287	732,239	501,262	718,221	2,753,630	96,131,599
შემოსვლა	-	3,700,684	-	102,646	42,860	1,202,570	5,048,760
გასვლა	-	(47,805)	-	(1,200)	(40,349)	-	(89,354)
31.12.2020	978,960	94,100,166	732,239	602,708	720,732	3,956,200	101,091,005
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2018	-	(23,025,730)	(139,441)	(128,839)	(196,033)	-	(23,490,043)
2019 წლის ცვეთა	-	(13,054,990)	(66,850)	(77,969)	(132,271)	-	(13,332,080)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	1,911,033	-	1,341	32,768	-	1,945,142
31.12.2019	-	(34,169,687)	(206,291)	(205,467)	(295,536)	-	(34,876,981)
2020 წლის ცვეთა	-	(13,886,766)	(67,342)	(98,881)	(135,912)	-	(14,188,901)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	11,209	-	785	15,842	-	27,836
31.12.2020	-	(48,045,244)	(273,633)	(303,563)	(415,606)	-	(49,038,046)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31.12.2019	978,960	56,277,600	525,948	295,795	422,685	2,753,630	61,254,618
31.12.2020	978,960	46,054,922	458,606	299,145	305,126	3,956,200	52,052,959

ძირითადი საშუალებები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესაბამისად 2,577,361 და 733,599 ლარის ღირებულების სრულად გაცვეთილი აქტივებს.

6. იჯარები

კომპანიას იჯარით აქვს აღებული შენობები სხვადასხვა პირისგან. საიჯარო ხელშეკრულებებით საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული და განსაზღვრულია აშშ დოლარში. აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარდგენილ იქნას შემდეგნაირად:

	შენობები	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
შემოსვლა	666,552	666,552
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(256,428)	(256,428)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	410,124	410,124

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	შენობები	სულ
2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-
შემოსვლა	666,552	666,552
საპროცენტო ხარჯი	45,119	45,119
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(323,076)	(323,076)
საიჯარო გადასახდელზე მიღებული შეღავათი (იხ. შენიშვნა ქვემოთ)	(26,237)	(26,237)
პორცენტის გადახდა	(45,119)	(45,119)
საკურსო სხვაობა	168,905	168,905
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	486,144	486,144

საიჯარო გადასახდელზე მიღებული შეღავათი

კომპანიამ მეიჯარეებისგან მიიღო საიჯარო გადასახდელის პატიების შეღავათი (კონტრაქტით გათვალისწინებული საიჯარო ქირის შემცირება) საიჯარო გადასახდელზე, ვინაიდან კომპანიას გარკვეული პერიოდის განმავლობაში პანდემიიდან გამომდინარე არ შეეძლო ოპერირება. კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ით გათვალისწინებული პრაქტიკული გამონაკლისი ყველა საიჯარო გადასახდელზე მიღებულ შეღავათზე, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმს. საანგარიშგებო პერიოდში მიღებული ყველა შეღავათი აკმაყოფილებს კრიტერიუმს, რომ მოხდეს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისის გამოყენება.

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. იჯარები (გაგრძელება)

პრაქტიკული გამოწვევის გამოყენების შედეგად საიჯარო ვალდებულება შემცირდა 26,237 ლარით. შეღავათის ეფექტი აისახა იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა გადახდების გამომწვევი მოვლენა. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის საიჯარო ვალდებულების ვადიანობის ანალიზი შეიძლება წარდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 დან 12 თვემდე	1 დან 2 წლამდე	2 დან 5 წლამდე	5 წელზე ზემოთ	სულ
შენიშვნები	72,235	224,940	188,969	-	-	486,144

7. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019
სათადარიგო ნაწილები	2,134,154	1,506,448
მანქანა-დანადგარები	164,498	164,499
სხვა	34,596	36,568
	2,333,248	1,707,515

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური მოთხოვნები		
შპს მარსი	3,230,027	1,755,037
შპს ავიატორ	2,738,054	1,781,509
შპს ფულ ჰაუსი	1,322,309	690,585
შპს ჩემპიონები 111	1,089,316	933,089
შპს ბეთლაივი	869,208	811,217
შპს ლიდერ-ბეთ სლოტი	828,543	648,162
შპს როიალ ბათუმი	202,574	531,789
შპს გემბლინგ ჰოლი	136,567	225,256
შპს Global Game	74,833	68,254
შპს პრინცეს ბათუმი	55,413	105,420
შპს ოქროს ლომი	25,939	107,467
შპს ნიუ კრისტალბეთ	14,225	153,553
შპს ლიდერ-ბონუსი'	-	151,614
შპს ლიმონი 2009	-	262,412
შპს ინტერ სლოტ	-	105,601
შპს დეიდრიმ უნივერსალ საქართველო	-	254,495
შპს ზი ბესტ გეიმ (შპს ზი ავმ)	-	90,862
სხვა	126,668	798,524
სულ ფინანსური მოთხოვნები	10,713,676	9,474,846
გამოკლებული: საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(354,622)	-
	10,359,054	9,474,846
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსი	10,397	80,546
	10,397	80,546
სულ	10,369,451	9,555,392

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფინანსური მოთხოვნების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში ფინანსური მოთხოვნები ვალუტის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების რეზერვი მოთხოვნებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2020	მიმდინარე	31 დან 90 დღემდე	91 დან 180 დღემდე	181 დან 360 დღემდე	360 დღეზე მეტი	სულ
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	1.25%	3.75%	12.50%	37.50%	50.00%	
მთლიანი საბალანსო ღირებულება	10,078,831	14,757	17,803	602,285	-	10,713,676
გაუფასურების რეზერვი	125,986	553	2,225	225,858	-	354,622

შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

საექვო ვალების რეზერვის რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის საწყისი ნაშთი:	-	-
რეზერვის ზრდა	354,622	-
31 დეკემბერი	354,622	-

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ფული სალაროში	6,403	1,192
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,154,208	695,886
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	2,212,815	7,638
31.12.2020	3,373,426	704,716

კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან.

დამატებითი ინფორმაცია უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების შესახებ იხილეთ შენიშვნა 4.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ	13,041,717	15,404,592
სავაჭრო ვალდებულებები სხვა მხარის მიმართ	16,052,788	5,069,325
29,094,505	20,473,917	
არაფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	1,554,129	660,306
გადასახადებთან დაკავშირებული ანარიცხების ვალდებულება	-	261,531
მიღებული ავანსები	371,938	172,787
1,926,067	1,094,624	
31,020,572	21,568,541	

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო. სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულების ვალუტის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

გადასახადებთან დაკავშირებული ანარიცხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვრის მდგომარეობით	261,531	-
ანარიცხის ზრდა	-	261,531
აღიარებული ანარიცხის შემცირება	(261,531)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	-	261,531

11. შემოსავალი

	2020	2019
სათამაშო აპარატების გაქირავება	7,294,883	31,521,459
თამაშების პროგრამული უზრუნველყოფიდან მიღებული საკომისიო	5,461,861	4,671,958
შემოსავალი *	38,086	220,320
სათამაშო პროდუქციის რეალიზაცია	133,075	465,030
სხვა	12,927,905	36,878,767

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. შემოსავალი (გაგრძელება)

*კომპანია იღებს საკომისიო შემოსავალს თამაშების პროგრამული უზრუნველყოფის გაყიდვისგან. მთლიანი თანხები ამ ოპერაციიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
მთლიანი შემოსავალი პროგრამული უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებიდან	80,778,603	55,113,168
პროგრამული უზრუნველყოფის თვითღირებულება	(75,316,742)	(50,441,210)
	5,461,861	4,671,958

12. სხვა შემოსავალი

	2020	2019
კონვერსიიდან შემოსავალი	86,851	134,245
დაზღვევიდან შემოსავალი	60,017	-
საიჯარო გადასახდელებიდან გათავისუფლება	26,236	-
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული მოგება	-	2,287,246
სხვა	45,347	30,637
	218,451	2,452,128

13. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(577,695)	(657,326)
უიმედო და საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(354,622)	(47,229)
საკონსულტაციო ხარჯი	(341,833)	(114,607)
საბანკო გარანტია	(163,760)	(104,421)
დაზღვევა	(114,947)	(97,888)
მივლინება	(99,181)	(116,666)
კომუნალური გადასახადები	(81,629)	(66,489)
ოფისის ხარჯი	(65,476)	(86,379)
შეკეთების ხარჯი	(63,565)	(32,821)
საბანკო მომსახურების საკომისო	(36,036)	(81,570)
საიჯარო ქირა	(21,828)	(293,264)
სათამაშო აპარატების ლიცენზიის გადასახადი	(13,927)	(43,551)
საგადასახადო ანარიცხი	-	(261,531)
სხვა ხარჯი	(174,305)	(183,221)
	(2,108,804)	(2,186,963)

14. წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან

	2020	2019
ეფექტი ფულზე და ფულის ეკვივალენტებზე	(117,566)	(573,973)
ეფექტი სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე	(4,449,889)	(1,162,526)
	(4,567,455)	(1,736,499)

15. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები – საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო – საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

შპს „ვერო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	2020	2020	2019	2019
		ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ბალანსში	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	შესაბამისი მუხლის მთლიანი თანხა ბალანსში
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		13,041,717		15,404,593	21,568,541
შპს ვერო გეიმს ტექნოლოჯი ბულგარეთი	დამფუძნებელი	10,134,842		13,074,687	
EGT Multiplayer LTD	სხვა	2,906,875		2,329,906	
შემოსავალი		36,487	12,927,905	223,371	36,878,767
შპს ვერო გეიმს ტექნოლოჯი რუმინეთი	სხვა	-		195,648	
შპს ვერო გეიმს ტექნოლოჯი ბულგარეთი	დამფუძნებელი	1,041		27,723	
EGT Multiplayer LTD	სხვა	35,446		-	
სხვა საოპერაციო ხარჯები		(61,317)	(2,108,804)	(6,850)	(2,186,963)
შპს ვერო გეიმს ტექნოლოჯი ბულგარეთი	დამფუძნებელი	(10,847)		(6,829)	
EGT Multiplayer LTD	სხვა	(50,470)		(21)	
მარაგის შესყიდვა		(603,396)	(914,919)	(641,543)	(929,915)
შპს ვერო გეიმს ტექნოლოჯი ბულგარეთი	დამფუძნებელი	(554,105)		(588,647)	
EGT Multiplayer LTD	სხვა	(49,291)		(52,896)	
უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომითი ანაზღაურება		(4,971,250)	(6,614,528)	(168,938)	(1,603,965)
შრომითი ანაზღაურება	დირექტორი	(4,971,250)		(168,938)	

კომპანიის მიერ დედა კომპანიისაგან შესყიდული ძირითადი საშუალებები 2020 და 2019 წლებში შეადგენს 3,357,551 და 8,893,527 ლარს, შესაბამისად.

კომპანიის მიერ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების თვითღირებულება 2020 და 2019 წლისათვის, რომელიც დაკავშირებულია პროგრამული უზრუნველყოფის რეალიზაციიდან საკომისიო შემოსვლის მიღებასთან, წარმოადგენს 75,316,742 და 50,441,210 ლარს, შესაბამისად.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდომ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც უნდა გაიშიფროს ფინანსურ ანგარიშგებაში.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანიი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვალდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაიანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით. კურსთაშორის სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „წმინდა (ზარალი)/მოგება საკურსო სხვაობიდან“. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია აღრიცხავს თავის ფინანსურ აქტივებს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით. ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით. კომპანიამ გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტის მიხედვით და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ აქტივებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ფინანსური აქტივების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით. წინა პერიოდში ჩამოწერის აღდგენა აღიარდება მოგებასა და ზარალში.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულის და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმოდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

კომპანია ფასს 16-ს იყენებს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. კომპანიამ არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტზე გადასვლის დროს. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა.

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება

გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ზოგადი მიმოხილვა

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს სათამაშო აპარატების გაქირავება და გაყიდვა, ასევე სათამაშო აპარატების პროგრამების ლიცენზიის გაყიდვა. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი სათამაშო აპარატების გაქირავების მომსახურების გაწევით, გაყიდვით და სათამაშო აპარატების პროგრამების ლიცენზიის გაყიდვით

შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის სათამაშო აპარატების გაქირავება და სათამაშო აპარატების პროგრამების ლიცენზიით სარგებლობა, აღიარდება დროთა განმავლობაში, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური ღირებულების შესაბამისად.

შემოსავალი სათამაშო აპარატების გაყიდვიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება ავანსად ან დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა,

ან მომდევნო 6 თვის მანძილზე. აქედან გამომდინარე, შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით. საკონტრაქტო ღირებულება ასევე მოიცავს ცვლად ანაზღაურებას, საურავებისა და ჯარიმების სახით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებს. შესაბამისად კომპანია მთლიან საკონტრაქტო ფასს კონკრეტულ მომსახურებაზე ანაწილებს.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

მიმდინარე საგადასახადო აქტივი და მოგების გადასახადის ხარჯი

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს: ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე; ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად; გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო იყენებს აქტივს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების წარმოებისაგან განსხვავებული საქმიანობისათვის.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

აქტივის ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა (%)	
სათამაშო აპარატები	15%
შენობები	5-20%
ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა	20%
მანქანები	20%

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 7 წელი.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

(ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

(ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოძენას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასაარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

თანამშრომელთა სარგებელი

დასაქმებულთა ანაზღაურების მოკლევადიანი ვალდებულება იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას მოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნას შეფასებული.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

სარჩევი

1.	ზოგადი საქმიანობის მიმოხილვა	29
2.	კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა	30
	2.1 კომპანიის განვითარების გეგმები.....	30
	2.2 ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	30
3.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	31

1. ზოგადი საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2007 წელს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

„კომპანიის“ რეგისტრირებული იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ინდუსტრიალიზაციის ქ., №8ა.

„კომპანიის“ საიდენტიფიკაციო კოდია: 204536225.

„კომპანიის“ რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: № 07631 10.08.2007 წ.

კომპანიის დირექტორია: რადოსტინა პეტროვა ვალჩევა, 383026749, 8602230992 /ზულგარეთი/.

დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება.

კომპანიის დამფუძნებელია და 100% წილის მფლობელია Euro Games Technology (EGT).

კომპანიის საწესდებო კაპიტალი, რომლის შენატანი ფულადი ფორმით არის განხორციელებლი, შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

კომპანიის საქმიანობის სახე, ძირითადი სამოქმედო ბაზრები და მიზნები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებს და შემოსავლების გენერირების მთავარ წყაროს წარმოადგენს:

- სათამაშო მოწყობილობების იჯარა და რეალიზაცია;
- ონლაინ თამაშების პროგრამული უზრუნველყოფის დისტრიბუცია;
- სათამაშო მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება.

„კომპანიის“ შემოსავლები სახეობების მიხედვით არის შემდეგი:

- შემოსავალი სათამაშო აპარატების და სხვა მოწყობილობების იჯარიდან
- შემოსავალი სათამაშო აპარატების და სხვა მოწყობილობების რეალიზაციიდან
- შემოსავალი ონლაინ თამაშების პროგრამული უზრუნველყოფის დისტრიბუციიდან
- შემოსავალი სათამაშო აპარატების და სხვა მოწყობილობების ტექნიკური მომსახურებიდან

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“ სათამაშო ინდუსტრიაში ყველაზე სწრაფად მზარდი კომპანიის რეპუტაციით სარგებლობს. კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სათამაშო პროდუქტების და აპარატების მრავალფეროვან ასორტიმენტის განვითარებასთან და განაწილებასთან. საქართველოს ტერიტორიაზე კომპანიის პროდუქტი გამოირჩევა მუდმივად მაღალი ხარისხით, საიმედოობით და კონკურენტუნარიან ფასებით.

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯიას“ მიზნობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან საქართველოში სათამაშო ბიზნესში ჩართული კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ სათამაშო აპარატების სალონი და კაზინოები. კომპანია მუდმივ რეჟიმში აფართოვებს თავისი შესაძლებლობების ჰორიზონტს, რათა უკეთ დააკმაყოფილოს პარტნიორი კომპანიების სურვილები და მოთხოვნები.

კომპანიას აქვს 3 (სამი) საოფისე ფართი (2 თბილისში და 1 ბათუმში) და არ გააჩნია ფილიალი.

2. კომპანიის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა**2.1 კომპანიის განვითარების გეგმები**

კომპანიის მიზანია სტაბილურობის შენარჩუნება ბაზარზე და მზადაა გააფართოვოს თავისი სამოქმედო არეალი. კომპანია მუდმივ რეჟიმში ახორციელებს ბაზრის მოთხოვნათა მონიტორინგს და სტატისტიკურ დაკვირვებას.

კომპანია სთავაზობს ბაზარს გაუმჯობესებულ და მოდერნიზირებულ სათამაშო მოწყობილობებს. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ მზადყოფნაშია შესაძლო ბიზნეს გარემოს ცვლილებების მიმართ და ყველა შესაძლო სიახლესთან თუ გამოწვევასთან მიმართებაში, და მზაობას აცხადებს მოახერხოს ნებისმიერი სამართლიანი საბაზრო გამოწვევის დაძლევა. კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის ზრდა, ბაზარზე საკუთარი პოზიციის განვითარება და გამყარება, მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია ბაზრის მოთხოვნის და გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად ბაზარს შესთავაზოს ახალი ტიპის და მოდიფიკაციის, ასევე ახალი დიზაინის და გაფართოებული ასორტიმენტის სათამაშო აპარატები და მოწყობილობები, თანხმლები ტექნიკური სერვისის მოქნილობის ხარისხის ზრდა.

2.2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**ა. ფინანსური მაჩვენებლები**

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიის ხელმძღვანელობა რელევანტურად მიიჩნევს საქმიანობის შედეგების შემდეგი მაჩვენებლების განხილვას:

	2020	2019
კომპანიის რენტაბელობის მაჩვენებლები:		
საოპერაციო მოგების მარჟა	-77%	55%
წმინდა მოგების მარჟა	-111%	51%
კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი	-38%	38%
კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებლები:		
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.51	0.48
ვალდებულებების საკუთარ კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი	0.82	0.41
კომპანიის წლიური მაჩვენებლები:		
სულ შემოსავალი	13,146,356	39,330,895
სულ აქტივები	69,739,218	74,406,356
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	65	48

2020 წლის შემოსავალმა შეადგინა 13,146,356 ლარი, რაც 67%-ით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო, რომლის პირობებშიც კომპანიას 2020 წელს მოუწია გარკვეული პერიოდი საქმიანობის შეჩერება.

ბ. არაფინანსური მაჩვენებლები**თანამშრომლები**

შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯიას“ პერსონალის რაოდენობა 2020 წლის წლის განმავლობაში მერყეობდა 61-დან 69-მდე.

კომპანია უზრუნველყოფს თავისი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევას. დიდი ყურადღება ეთმობა შრომის უსაფრთხოების მიმართულებას.

კომპანიას აქვს თავისი შინაგანაწესი და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს დასაქმებულთა და კომპანიის ინტერესთა კვეთას და კომფორტულს ხდის კომპანიაში სამუშაო პროცესს.

კომპანია მუდმივად ზრუნავს დასაქმებულთა შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების ამაღლებაზე.

როგორც დამსაქმებელი, შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის.

2.2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კომპანიის ხელმძღვანელობა და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიის ბიზნეს პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის ძირითადი მომწოდებელი და მწარმოებელი კომპანიაა მისი დამფუძნებელი Euro Games Technology (EGT).

კომპანიის პროდუქტის და სერვისის მომხმარებელი კომპანიები არიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიაში ჩართული თითქმის ყველა იურიდიული პირი.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული საპროცენტო და სასაქონლო ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საკრედიტო რისკი

კონტრაქტორის მხრიდან ვალდებულებების დროული და სრული მოცულობით შესრულებლობის რისკი. აქედან გამომდინარე კომპანია დგას მისაღები თანხების დაუბრუნებლობის რისკის ქვეშ. „კომპანიის“ მომხმარებელთა რაოდენობის და იმის გათვალისწინებით, რომ საიჯარო თანხის გადახდა ხდება მომდევნო თვის რიცხვებში, არსებობს რისკი იმისა, რომ ბოლო ერთი თვის დავალიანება დარჩება გადაუხდელი.

„კომპანია“ საკრედიტო რისკის მართვას ახორციელებს საიჯარო თანხების გადახდის პირობის ცვლილებით, კერძოდ საიჯარო თანხის გადახდის საავანსო პრინციპით. საავანსო გადახდის პირობა ეხება განსაკუთრებით ახალ იურიდიულ პირებს, რომელთა სტაბილურობა და რეპუტაცია ჯერ არ არის მყარი საქართველოს ბაზარზე.

იმ კონტრაგენტებთან მიმართებაში, რომლებიც არ იხდიან საიჯარო დავალიანებას, ხდება სათამაშო აპარატების გათიშვა, მათი დაბრუნება და დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა.

საოპერაციო რისკი

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია ტექნიკასთან, არსებობს ტექნიკის როგორც მორალური ასევე ფიზიკური ცვეთის რისკი. კომპანია აქტიურად და უწყვეტ რეჟიმში აკონტროლებს ტექნიკის მდგომარეობას და კვალიფიციური ტექნიკური ჯგუფის მეშვეობით უზრუნველყოფს მის უწყვეტად ფუნქციონირებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილებაზე დაყრდნობით, კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ არ დაფიქსირებულა აპარატურის სრული ფიზიკური განადგურების ფაქტი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე. ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

კომპანიას მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს კომპანიას საკმარის მოქნილობას დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც მომავალში აუცილებელია ბიზნესში საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად.

3.ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები.

რეგულაციების რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია საქართველოში აზარტული და მომგებიანი თამაშობების შესახებ კანონის რეგულაციებზე და ცვლილებებზე. ნებისმიერი სახის ცვლილება კანონში პირდაპირ გავლენას მოახდენს კომპანიის სტაბილობაზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

COVID-19-ით გამოწვეული სირთულეები და საპასუხო ზომების მიმოხილვა

ახალი კორონავირუსის - COVID-19-ის გავრცელებამ და აღნიშნულის გამო შექმნილმა მდგომარეობამ არსებითი გავლენა მოახდინა კომპანიასა და კლიენტებს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე და ამ ურთიერთობაში მყოფი კლიენტების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობების განხორციელებაზე. საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირების მიზნით საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულმა ზომებმა უშუალოდ იმოქმედა თითქმის ყველა ტიპის ბიზნესზე, მათ შორის სათამაშო აპარატების სალონების და სამორინეების საქმიანობა საერთოდ შეჩერდა. შექმნილი კრიზისის გამო ბიზნეს საქმიანობების შეჩერებამ უარყოფითი ეკონომიკური ზეგავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორზე, მათ შორის სათამაშო ბიზნესზე და შესაბამისად კომპანიაზე.

კორონავირუსმა (COVID-19) საქართველოს ეკონომიკის გარკვეულ სექტორებზე, კერძოდ: სასტუმროებზე, რესტორნებზე, სავაჭრო ცენტრებზე, გართობა/დასვენების ობიექტებზე მყისიერი ნეგატიური გავლენა იქონია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ და მათ შორის საქართველომ სხვადასხვა ტიპის შეზღუდვა დააწესა ერთად თავმოყრილი ადამიანების რაოდენობის შესახებ. აღნიშნულმა ფაქტმა კი დიდი გავლენა იქონია გასართობი ობიექტების ფუნქციონირებაზე. აღნიშნული შეზღუდვების გამო 2020 წლის მარტის თვის მეორე ნახევრიდან მთელი წლის განმავლობაში დაკეტილი იყო სლოტ კლუბები / კაზინოები, რამაც განაპირობა კომპანიის შემოსავლების დაკარგვა შემდეგი სახის საქმიანობებიდან: სათამაშო აპარატების და სხვა მოწყობილობების იჯარიდან, რეალიზაციიდან და ტექნიკური მომსახურებიდან.

აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის მხრიდან ბიზნესის ფინანსური სტიმულირება სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით გარკვეული ხელფასის ფარგლებში საშემოსავლო გადასახადის ნაწილში სუბსიდირება, რითაც კომპანიამ ისარგებლა.

ამასთან კომპანია მაქსიმალურად თავის მხრივ, მონაწილეობას იღებს COVID-19-თან ბრძოლაში, რაც გამოიხატება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებაში - თანამშრომლებისთვის შეთავაზებულია დისტანციური მუშაობა და მოქნილი სამუშაო საათები. ოფისი თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფს სამედიცინო აღჭურვილობას, სადეზინფექციო საშუალებებს, პირბადეებს, ხელთათმანებს, საჭიროების შემთხვევაში ლოჯისტიკური მხარდაჭერას.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 3 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

რ. ვალჩევა

3.ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები.

რეგულაციების რისკები

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია საქართველოში აზარტული და მომგებიანი თამაშობების შესახებ კანონის რეგულაციებზე და ცვლილებებზე. ნებისმიერი სახის ცვლილება კანონში პირდაპირ გავლენას მოახდენს კომპანიის სტაბილურობაზე და ფინანსურ მაჩვენებლებზე.

COVID-19-ით გამოწვეული სირთულეები და საპასუხო ზომების მიმოხილვა

ახალი კორონავირუსის - COVID-19-ის გავრცელებამ და აღნიშნულის გამო შექმნილმა მდგომარეობამ არსებითი გავლენა მოახდინა კომპანიასა და კლიენტებს შორის არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებზე და ამ ურთიერთობაში მყოფი კლიენტების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობების განხორციელებაზე. საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირების მიზნით საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულმა ზომებმა უშუალოდ იმოქმედა თითქმის ყველა ტიპის ბიზნესზე, მათ შორის სათამაშო აპარატების სალონების და სამორინეების საქმიანობა საერთოდ შეჩერდა. შექმნილი კრიზისის გამო ბიზნეს საქმიანობების შეჩერებამ უარყოფითი ეკონომიკური ზეგავლენა მოახდინა ბიზნეს სექტორზე, მათ შორის სათამაშო ბიზნესზე და შესაბამისად კომპანიაზე.

კორონავირუსმა (COVID-19) საქართველოს ეკონომიკის გარკვეულ სექტორებზე, კერძოდ: სასტუმროებზე, რესტორნებზე, სავაჭრო ცენტრებზე, გართობა/დასვენების ობიექტებზე მყისიერი ნეგატიური გავლენა იქონია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ და მათ შორის საქართველომ სხვადასხვა ტიპის შეზღუდვა დააწესა ერთად თავმოყრილი ადამიანების რაოდენობის შესახებ. აღნიშნულმა ფაქტმა კი დიდი გავლენა იქონია გასართობი ობიექტების ფუნქციონირებაზე. აღნიშნული შეზღუდვების გამო 2020 წლის მარტის თვის მეორე ნახევრიდან მთელი წლის განმავლობაში დაკეტილი იყო სლოტ კლუბები / კაზინოები, რამაც განაპირობა კომპანიის შემოსავლების დაკარგვა შემდეგი სახის საქმიანობებიდან: სათამაშო აპარატების და სხვა მოწყობილობების იჯარიდან, რეალიზაციიდან და ტექნიკური მომსახურებიდან.

აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის მხრიდან ბიზნესის ფინანსური სტიმულირება სამუშაო ადგილების შენარჩუნების მიზნით გარკვეული ხელფასის ფარგლებში სამემოსავლო გადასახადის ნაწილში სუბსიდირება, რითაც კომპანიამ ისარგებლა.

ამასთან კომპანია მაქსიმალურად თავის მხრივ, მონაწილეობას იღებს COVID-19-თან ბრძოლაში, რაც გამოიხატება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებაში - თანამშრომლებისთვის შეთავაზებულია დისტანციური მუშაობა და მოქნილი სამუშაო საათები. ოფისი თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფს სამედიცინო აღჭურვილობას, სადეზინფექციო საშუალებებს, პირბადეებს, ხელთათმანებს, საჭიროების შემთხვევაში ლოჯისტიკური მხარდაჭერას.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 3 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



რ. ვალჩევა